41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო გორელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი გორის მერობის კანდიდატისა და გორის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს გორის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს გორი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 35 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 60 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 5,3 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 43,4 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

2014-2021 წლებში, გორის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 30 პროექტი** განახორციელა (ჯამური ინვესტიცია 39 893 986 ლარი, თანამონაწილეობა 16 462 832 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში მხარდაჭერილია 7 პროექტი (ჯამურად 633 276 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 238 654 ლარი). პროგრამთ **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 1 727 ჰექტარზე განხორციელდა 501 პროექტი (ჯამურად 24 955 986 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 12 068 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 195 409 356 ლარი), რითაც 4 556-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 13 457 495 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 29 კოოპერატივი (233 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 823 247 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, ჯამურად 187 170 013 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 29 012 073 ლარი), რითაც 1 779-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 159 პროექტი (ჯამურად 7 959 159 ლარი, თანადაფინანსება 3 086 143 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც შესყიდულია 874 760 ლარის ტექნიკა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 433 343 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა და** განხორციელდა 42 პროექტი (ჯამურად 1 480 543 ლარი, თანადაფინანსება 791 084 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 14 366 168 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 4 857 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 18 367 ჰექტრამდე ზრდა;**
- **უახლოეს მომავალში, სეტყვისგან დასაცავად შიდა ქართლი, კახეთის მსგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

გორის მუნიციპალიტეტში, პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** დაფინანსდა 5 საწარმო (ინვესტიცია ჯამურად 6 178 749 ლარი, დასაქმებულია 64 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 2 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 13 498 725 ლარი, დასაქმდა 73 ადამიანი, ჯამურად მუნიციპალიტეტს 140 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 2 091 940 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 2 778 615 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 269 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 98, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 171 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

შიდა ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა 2 ჰიდროელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური (ჯამური დადგმული სიმძლავრე 23 მგვტ, ინვესტიცია 38 მლნ აშშ დოლარი). **ამ ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ენერგეტიკული პროექტები:** მეტეხი ჰესი 1 (56 500 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 36,70 მგვტ); მეტეხი ჰესი 2 (20 000 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 10,00 მგვტ); კასპის ქარის ელსადგური (78 000 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 50,00 მგვტ); ფლევის ქარის ელსადგური (46 700 706 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 34,50 მგვტ);

გორის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 18 107 აბონენტი.** 2022 წელს იგეგმება სოფელ კვარხითის გაზიფიცირება (126 პოტენციური აბონენტი). 2013-2017 წლებში, **ორი სოფლის: ზემო ქსოვრისისა და გაგლოანთუბნის 24 ოჯახი ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში ჩაერთო.** 16 238 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი. **გორში დამონტაჟდა** ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსდა რუკა და ინფორმაცია ტურისტული ობიექტების შესახებ; ქალაქში დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები. **„ღვინის გზის“ პროექტით განხორციელდა** ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება, საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. ატენის ხეობაში მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა. ასევე **განხორციელდა შემდეგი პროექტები:** გორში, ლომჭაბუკის მიმდებარე სკვერის ტერიტორიაზე ტურისტული ცენტრის მოწყობა; გორის ციხის მიმდებარედ ტურისტული მარშრუტის შექმნა და ციხის ზედა პლატოზე სამუზეუმო-საგამოფენო სივრცის მოწყობა. ატენის სიონის მიმდებარედ მოეწყო სველი წერტილები

ᲨᲞᲡ ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡ ᲮᲘᲚᲘ - ᲡᲐᲛᲐᲪᲘᲕᲠᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ

ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ 13 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲡ ᲛᲘᲐᲚᲬᲘᲐ

და საპარკინგე ადგილები, ტანას ხეობაში მიმდინარეობს საპიკნიკე და საკემპინგე ადგილის კეთილმოწყობა. განხილვის პროცესშია ატენის ხეობის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების პროექტი, რაც დიდად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას. ტურისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სოფელ ბერბუკთან, „გუდაბერტყას“ ფერდობზე, უძველესი არქეოლოგიური გათხრების გაცნობა, მოეწყო გადმოსახედი, საიდანაც კარგად ჩანს ოკუპირებული ტერიტორიები. სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნა მსოფლიოს უნიკალური კოლექციების ნუმიზმატიკური დარბაზი.

- **„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, **გორის მუნიციპალიტეტში,** ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 63 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4296,5 კუბური მეტრი ხე-ტყე. 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, გორის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, გორში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 62 მილიონ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 2 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. 2013-2020 წლებში **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 4.5 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში გორის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 46 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 9000 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, გორის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 45 მლნ ლარზე მეტით დაფინანსდა. 2021-2023 წლებში, კი დამატებით 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. **გორში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** კონფლიქტისპირა სოფლებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა (8 192 877 ლ); ქ. გორში „კვერნაკის“ დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (384 396 ლარი); სოფლების: წედისი, ბნავისი, ოლოზი – წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (580 393 ლ); ხიდისთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (1 033 017 ლ); ქიწნისის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია (1 229 755 ლ); ტყვიავში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (470 000 ლ).

სკვერი გორში

2021-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

- შარტავას ქ. რეაბილიტაცია სანიაღვრე არხებით – 697 000 ლ;
- ამილახვრის ქ. რეაბილიტაცია – 170 790 ლ;
- ტყვიავის ქ. და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია – 234 278 ლ;
- ქ. გორში, გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია (ქუჩის ბოლო მონაკვეთი პუშკინის ქუჩამდე) და ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობა – 738 000 ლ;
- სოფ. ქორდში, ე.წ.ხაჩიურების უბანში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 498 974 ლ;
- კვარხეთი-ზერტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 747 938 ლ;
- სოფ. ტინისხიდში გზების რეაბილიტაცია – 247 460 ლ;
- სოფ. მეჯვრისხევში, ცენტრალური გზიდან ყოფილ საავადმყოფომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 657 606 ლ;
- ქ. გორში, აღმაშენებლის გამზირის და სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია – 557 500 ლ;
- ქ. გორში, ჭანტურიას ქ. რეაბილიტაცია – 251 660 ლ;
- სოფ. ბროწლეთში შიდაგზისა და სანიაღვრე არხის მოწყობა – 504 700 ლ;
- სოფ. მეჯვრისხევში, ქეცხურის გზის რეაბილიტაცია – 376 300 ლ;
- ქ. გორში, რუსთაველის ქ. და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია – 319 224 ლ;
- გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა – 300 000 ლ;
- სოფ. ატენში „გარდატენის“ გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი) – 579 790 ლ;
- სოფ. აძვიდან ჯარიაშენის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი) – 494 398 ლ;
- ტირძნისი-თერგვისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 738 920 ლ;
- ქ. გორში ფარნავაზის ქუჩის და საფეხმავლო სივრცეების რეაბილიტაცია – 349 993 ლ;
- ქ. გორში, სტალინის გამზირის და ჭაჭავაძის ქ. საფეხმავლო სივრცეების მოწყობა/რეაბილიტაცია – 837 000 ლ;
- სოფ.კარბში მემორიალთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 297 489 ლ;
- ქ. გორში ავტობუსების სადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაცია – 60 580 ლ;
- სოფ. ქვახვრელში, რკ. სადგურიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 353 000 ლ;
- სოფ. მარანასთან მისასვლელი გზის, ზერტის მთავარი გზიდან სკოლამდე მისასვლელი გზის, ვარიანი-არაშენდას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 535 095 ლ;
- სოფ. ფლავისმანში სარწყავი წყლის სისტემის მოწყობა – 30 500 ლ;
- სოფ. ხიდისთავში სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია – 106 600 ლ;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარეგანათების მოწყობა (ახალუბანი, ახრისი, მეჯვრისხევი, აძვი, ჯარიაშენი, ქვემო არცევი, დიცი) – 61 494 ლ;
- ქ. გორში, ანწუხელიძის ქუჩაზე დევნილთა საცხოვრისის შენობაში სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია – 22 500 ლ;
- ადმინისტრაციული შენობის რემონტი – 65 000 ლ;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხიდისთავი, ხელთუბანი, სვენეთი, ვარიანი, ახალდაბა, კირბალი, ბერშუეთი, ზემო სობისი, ქვ. სობისი, ზეღდულეთი, ქვ. ახალსოფელი, ახალშენი, ახალუბნის ადმინისტრიცულ ერთეული) გარეგანათების მოწყობა – 449 993 ლ;
- სოფ. ოთარშენში საფეხმავლო ბილიკის მოწყობა – 50 000 ლ;
- ზემო და ქვემო ნიქოზის გზის მოხრეშვა – 97 425 ლ;
- ქ. გორში შინდისის გმირების ქუჩაზე ცხოველთა თავშესაფარის მშენებლობა – 1 931 492 ლ;
- მდ. ტანაზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია – 1 099 633 ლ;
- ხიდისთავი-ატენი-ბოშურის ს/გზის კმ1 – კმ12.4 მონაკვეთის რეაბილიტაცია – 11 950 000 ლ;
- სამეფო ქუჩის რეაბილიტაცია – 1 992 000 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი ს/გზის მე-7 კმ-ზე მდ. მტკვარზე ახალი სახიდე გადასასვლელის პროექტირება-მშენებლობა – 1 969 904 ლ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ (ᲚᲐᲓᲝ) ᲮᲘᲜᲩᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲐᲓ ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲔᲑ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲐ. ᲐᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ. ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲞᲠᲘᲖᲗᲐᲜ, ᲯᲘᲚᲓᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲪ ᲤᲚᲝᲑᲡ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲮᲘᲜᲩᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ“.

ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲯᲕᲐᲠᲡ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲓᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲙᲘ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ „ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲪ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ – ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲝᲡ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 4 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ, ᲐᲛ 4 ᲬᲔᲚᲨᲘ, ᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ, „ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ“ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲝᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲝᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲯᲔᲠ ᲓᲐᲝᲯᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲐᲓ ᲘᲨᲠᲝᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ. ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲘᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲖᲔᲪ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ (ᲚᲐᲓᲝ) ᲮᲘᲜᲩᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1991 ᲬᲔᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. 2009 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ №9 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲗ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ, ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ 3 ᲒᲖᲘᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ.

2017 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘᲪ, ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ, 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ/ᲓᲔᲕᲔᲚᲝᲠᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲚᲔᲒᲐᲡᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ. 2018 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ. 2019 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲡ �გᲝᲠᲘᲡ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲮᲘᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲠᲘᲡ �გᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ.

ᲧᲐᲕᲘᲗ. ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ �გᲐᲛᲔᲑᲠᲐᲖᲔᲑᲘᲜᲐ. �თᲣ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔᲣᲚ ᲐᲡᲐᲙᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲓᲐ. ᲐᲠᲪ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ. ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲚᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲐᲕᲪᲓᲘ – ᲡᲣᲚ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ. 15 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲖᲐᲠᲓᲘ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ. ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲬᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲠᲘᲓᲐ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲡ. 15 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲯᲐᲮᲡᲐᲪ ᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲘ.

– ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ?

– 13 ᲬᲚᲘᲡ. ᲘᲡ ᲓᲦᲔᲪ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. 2004 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ. ᲘᲥ ᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲙᲔᲠᲞᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲘᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲛᲐ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ, ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ – ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐ. ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ. ᲒᲐᲓᲐᲕᲗᲕᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲖᲔ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲬᲐᲓᲘᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲔᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐ. ᲒᲐᲕᲔᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲝᲖᲔ, ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲝᲖᲔ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲝᲖᲔ... ᲑᲔᲕᲠᲡ ᲕᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲕᲘᲡᲐᲮᲐᲕᲓᲘ. ᲛᲘᲖᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲬᲔᲕᲓᲘ. ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲕᲐᲠ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲘᲡᲢᲘᲪ. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲓᲘ, ᲐᲠ ᲕᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲛᲝᲛᲘᲬᲘᲐ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ – ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐ, ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ... ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ�გᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲝ, �პᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔ ᲠᲐ �გᲘᲜᲓᲐ, ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲯᲔᲠᲝᲓᲔᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲠᲐᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ Ა�კᲔᲗᲔᲑ. ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲧᲐᲠᲝ ᲤᲐᲠ-ᲮᲛᲐᲚᲘ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲔ. ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲨᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲝ, ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲓᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝ ᲘᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲒᲘᲨᲐᲚᲐ.

– ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲛᲘᲒᲘᲧᲕᲐᲜᲐᲗ ᲐᲛ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲛᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐᲛᲓᲔ.

– ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, �თᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ. ᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲝᲑᲐᲛᲓᲔ. ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲠ ᲝᲥᲠᲝᲛᲓᲔ ᲙᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲛᲔᲦᲝ. 2016 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲝᲥᲠᲝᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓ-

ლის მიღება ჩემთვის წარმატებად ვერ ჩაითვლებოდა. კონცენტრირებული ვიყავი მხოლოდ ოქროზე და წაგება ვერც წარმომედგინა. როცა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, კვარცხლბეკზე, უცნაური სიმშვიდე დამეუფლა და – სიამოვნების საოცარი განცდა, რომ ის გავაკეთე, რაც მინდოდა. აი ის კი, როცა ასწევენ საქართველოს დროშას, ჟღერს საქართველოს ჰიმნი, 200-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი დგება ფეხზე შენი ქვეყნის ჰიმნზე და პატივს გცემს, ტკბობის ენით აღუწერელი წამებია.

– ბევრმა არ იცის, რომ უმაღლეს სპორტულ მიღწევებთან ერთად უმაღლესი განათლებაც გაქვთ მიღებული, უნივერსიტეტში სწავლა იმ პერიოდში მოგიწიათ, როცა მსოფლიო და ოლიმპიურ მედლებს იღებდით, არ გაგიჭირდათ სწავლის და აქტიური სპორტის პარალელურ რეჟიმში შეწყობა?

– დიახ, 2009 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ჩავაბარე, ამ დროს უკვე „დიდების“ ნაკრებშიც ვიყავი და ფაქტობრივად ჩემი დროის ნახევარზე მეტი ვარჯიშს, შეკრებებს და ტურნირებს მიქონდა, ამ რეჟიმში განსაკუთრებით რთული იყო ეროვნული გამოცდებისთვის მზადებაც და სტუდენტობაც, თუმცა როცა რაღაც ძალიან გინდა გზას ყოველთვის გამონახავ, ჩემი მასწავლებლების, ოჯახის და მწვრთნელების მხარდაჭერით ყოველთვის ვნახულობდი დროს სწავლისთვის. მე ახალგაზრდა სპორტსმენებსაც ყოველთვის ვურჩევ, რომ სწავლას დიდი დრო დაუთმონ.

– იმაში, რომ წარმატებამდე მიგეღწიათ, დიდი წვლილი შეიტანა თქვენმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა. მის მიერ დაარსებული გორის თავისუფალი ჭიდაობის სკოლის ხელმძღვანელობა თქვენთვის რას ნიშნავს?

– ნუგზარ სხირელი საოცარი ადამიანი იყო. ის მამაჩემის მწვრთნელიც გახლდათ. მან მხოლოდ ჭიდაობა არ მასწავლა. თავისი ცხოვრებით, საქციელით, სამაგალითო იყო. მასთან ურთიერთობა წიგნის კითხვას გავდა. პატარა ასაკში მყავდა ასევე მეორე მწვრთნელი, არკადი ხიჩიკაშვილი. ბავშვობიდან მეუბნებოდა, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ხარო. 13-14 წლამდე ქალაქის მასშტაბითაც ვერ ვიგებდი და არც მჯეროდა, გამორჩეული მონაცემები თუ მქონდა. როცა მწვრთნელი ჩემში ოლიმპიურ ჩემპიონს ხედავდა, ძალიან მიკვირდა. ბატონ ნუგზარსაც ჩემზე მეტად სჯეროდა ჩემი და ჩემს ორთაბრძოლებს, ყოველთვის მშვიდად ადევნებდა თვალს. მისი სახელობის სკოლის ხელმძღვანელობა ჩემთვის უდიდესი პატივია და პასუხისმგებლობაა. მან ნულიდან შექმნა ყველაფერი და არაერთი მსოფლიო თუ ოლიმპიური ჩემპიონი გამოზარდა. მსოფლიოში, ჭიდაობის სამყაროში ყველამ იცის მისი სახელი და ჩვენი სკოლა. არადა, ერთლეიბიანი დარბაზიდან დაიწყო. ამხელა პასუხისმგებლობა მისი თხოვნით ავიღე.

– გორში ახალგაზრდებში ჭიდაობა დღესაც პოპულარულია და როგორ პირობებში გიწევდათ მუშაობა პანდემიის დროს?

– ნუგზარ სხირელმა წარმატებული და გამართული სკოლა დატოვა. ჩვენ უბრალოდ უნდა მივყვეთ, რაღაც ნიუანსები შევმატოთ და გაუმჯობესებას ვეცადოთ. ჩვენთან მწვრთნელების კარგი ჯგუფია, რომლებთანაც 200-ზე მეტი ბავშვი დადის. რა თქმა უნდა, პანდემიამ პრობლემები შექმნა, მაგრამ ვვარჯიშობდით ისე, როგორც რეგულაციებიდან გამომდინარე იყო დასაშვები. უმეტესად – ღია სივრცეში. როცა რაღაცის გაკეთება გინდა, გამოსავალს აუცილებლად გამონახავ. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ავეწყეთ ახალ რეჟიმს.

– გამარჯვების შემთხვევაში სკოლის დატოვება მოგიწევთ. უკვე იცით, ვის გადაულოცავთ ამ საქმეს?

– სკოლაში არის რამდენიმე მწვრთნელი, ვინც ძალიან კარგად უძღვება საქმეს. რეალურად, მე ვარ მენეჯერი. სკოლა კარგად ფუნქციონირებს და ამ მხრივ, არაფერი შეიცვლება. ხელმძღვანელის ფუნქციას, ჭიდაობის, ამ სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, შეითავსებს ღირსეული ადამიანი.

– თქვენ კი, გორის მერის მოვალეობას შეასრულებთ. პოლიტიკასთან აქამდე კავშირი არ გქონიათ და რატომ ხართ „ქართული ოცნების“ წევრი?

– აქამდე პოლიტიკურად აქტიური არასდროს ვყოფილვარ. „ქართული ოცნების“ გვერდით კი იმიტომ ვდგავარ, რომ ამ გუნდის მჯერა. მისაღებია ხელისუფლების პროდასავლური კურსი, ის, რომ მისთვის ადამიანი მთავარი ფასეულობაა და ის პროგრესი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა მუნიციპალიტეტში იგრძნობა. „ქართულმა ოცნებამაც“ ზუსტად იცის რა არის მისი მიზანი და ეტაპობრივად მიიწევს მისკენ.

– ამბობთ, რომ პროგრესი ყველა მუნიციპალიტეტში იგრძნობა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, გორში რა შეიცვალა?

– გორში ვცხოვრობ და კარგად ვამჩნევ, რომ დღევანდელი და 10-წლისწინანდელი გორი კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები. დაიწყო გაზიფიცირების პროექტი, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ზოგან უკვე მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემები, ზოგან პროცესი აქტიურ ფაზაშიც, ზოგან კი – სამომავლოდაა დაგეგმილი. მაგალითად ჩემ სოფელში, ნადარბაზევში ერთადერთი ონკანი იყო, საიდანაც ყველა ეზიდებოდა წყალს და ახლა ყველა მოსახლესთან წყალი შეყვანილია. გაზიც ყველას აქვს. ბოლო წელიწადნახევარში მოხდა ეს. არაერთმა ადგილობრივმა ისარგებლა სოფლის

მეურნეობის საშეღავათო სახელმწიფო პროგრამით და მეურნეობა განავითარა. გაიხსნა რამდენიმე საწარმოც, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. მეწარმეებს ხელისუფლებისგან მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ და ზოგადად, ქვეყანაში ბიზნესგარემოც ძალიან კარგია. ამ ყველაფრის შედეგი ის არის, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთი სამუშაო ადგილი გაჩნდა და ადგილობრივები დასაქმდნენ. ხელისუფლებამ ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია ტურიზმის მიმართულებას. გორში, ლომჭაბუკის მიმდებარე სკვერის ტერიტორიაზე ტურისტული ცენტრი მოეწყო, გორის ციხის მიმდებარედ ტურისტული მარშრუტი შეიქმნა და ციხის ზედა პლატოზე სამუზეუმო-საგამოფენო სივრცე მოეწყო, მოწესრიგდა ატენის სიონის მიმდებარე ტერიტორია, ტანას ხეობაში დღესაც მიმდინარეობს საპიკნიკე და საკემპინგე ადგილის კეთილმოწყობა. განხილვის პროცესშია ატენის ხეობის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების პროექტი, რაც დიდად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას. ტურისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სოფელ ბერბუკთან, „გუდაბერტყას“ ფერდობზე, უძველესი არქეოლოგიური გათხრების გაცნობა, მოეწყო გადმოსახედი, საიდანაც კარგად ჩანს ოკუპირებული ტერიტორიები.

– საზღვრისპირა სოფლების მკვიდრებთან და დევნილებთან თუ გქონიათ შეხვედრები და მათ თუ აქცევს ხელისუფლება ყურადღებას?

– დიახ, ხელისუფლება მაქსიმალურად ზრუნავს საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებზე და დევნილებზე. როგორც ვიცი, მათ მხარდასაჭერად არის არაერთი პროგრამა. ამ ადამიანებთან მუდმივი კომუნიკაცია ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. ყოველთვის ვიდგები მათ გვერდით და რაც შემეძლება, გავუკეთებ.

– ხელისუფლებისგან ხელშეწყობა სპორტსმენებსაც აქვთ?

– დიახ. ზოგადად სპორტის ნებისმიერი სახეობა ძალიან მალე ვითარდება და მოთხოვნები თუ საჭიროებებიც სწრაფად იცვლება. იმ რესურსით, რაც გააჩნია ქვეყანას, სპორტს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს. ელემენტარულად, ოლიმპიურ თამაშებზე იმხელა მხარდაჭერა ჰქონდათ სპორტსმენებს, რომ ეს უდიდესი მოტივაცია იყო. ვხედავ სურვილს და ნებას, რომ განვითარდეს არა მხოლოდ სპორტი, არამედ ყველა სფერო და ზოგადად, ქვეყანა და მინდა, ამ პროცესის მონაწილე მეც ვიყო. ყველაზე მეტად კი მინდა, წვლილი, ჩემი მუნიციპალიტეტის განვითარებაში შევიტანო. მინდა ჩემი გორი ისეთი იყოს, რომ აქედან წასვლა, ადგილობრივს კი არა, ტურისტსაც კი არ მოუნდეს. გორელებს მხოლოდ იმას ვპირდები, რომ მათ ყოველთვის მოვუსმენ, მათთან ერთად გადავწყვეტ სად რის გაკეთებაა საჭირო და შემდეგ, მაქსიმუმს გავაკეთებ ამათუიმ, მათი ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე პროექტების განხორციელებისთვის. ვპირდები ჩემ გორელებს, რომ მხოლოდ კეთილსინდისიერად მივიღებ გადაწყვეტილებებს და თავდაუზოგავად ვიშრომებ მათი კეთილდღეობისთვის.

– როგორ არჩევნებს ელოდებით გორში და იმედი გაქვთ, გორის მოსახლეობა მხარს დაგიჭერთ?

– სიმართლე გითხრათ, არჩევნებზე სხვადასხვა პროვოკაციას არ გამოვრიცხავ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციურმა ძალებმა თამაშის ბინძური წესები აირჩიონ. მე „ბინძური მეთოდებით“ ბრძოლას ნამდვილად არ ვაპირებ. ჩემი იარაღი, მხოლოდ გულწრფელობა, მშობლიური გორისა და გორელების დიდი სიყვარული და მათ სამსახურში ყოფნის დიდი სურვილია. დარწმუნებული ვარ, ხალხმა იცის ვინ ვარ, საიდან მოვდივარ და მხარსაც დამიჭერენ. მხარდაჭერას ყველა ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ.

– ისე, ბატონო ლადო, ყოველთვის ყველა პირობა გქონდათ, საზღვარგარეთ უზრუნველად გეცხოვრათ. ეს გადაწყვეტილება რატომ არასდროს მიიღეთ?

– ამის საშუალება არც ისე დიდი ხნის წინაც მქონდა. ბოლო არჩევნების დროს 3 თვე ამერიკაში, მართლაც უზრუნველად ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც დავბრუნდი. სხვათაშორის, ჩემ მეგობრებს უკვირთ კიდეც, რომ საზღვარგარეთ კი არა, დედაქალაქში ცხოვრების სურვილიც კი არ მაქვს. მიყვარს გორი. ჩემი სამეგობრო, ჩემი სანათესაო, ჩემი ოჯახი, მამაჩემის, ჩემი წინაპრების საფლავებიც აქ არის და აქედან წასვლას არსად ვაპირებ. ბევრ გავლენიან ადამიანთან მქონია ურთიერთობა, ბევრი ქვეყანა და ქალაქი მინახავს, მინდა, ის სიკეთეები რაც სხვა ქვეყნებშია ჩემს მუნიციპალიტეტშიც იყოს. ამისთვის, პირად კონტაქტებსაც გამოვიყენებ. და ვიცი, დარწმუნებული ვარ, ამას შევძლებ იმ გუნდთან ერთად, რომლისთვისაც რეგიონული განვითარება პრიორიტეტია და ამას, სხვა თუ არაფერი, პრემიერის ინიციატივაც მოწმობს, რომელიც რეგიონების განახლებას ეხება. როგორც გითხარით, ხალხის მხარდაჭერის იმედიც მაქვს. ასე რომ არ იყოს, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ.

– იმაში თუ ხართ დარწმუნებული, რომ წარმატებული იქნებით და ოლიმპიური ჩემპიონის შემდეგ, „ჩემპიონი მერის“ ტიტულსაც მოიპოვებთ?

– დიახ, ამის ამბიცია მაქვს. ეს მიზნად დავისახე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ როგორი კვალიც სპორტში დავტოვე, პოლიტიკაშიც ისეთი კვალი დავტოვო.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **გორის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 147 728 805 ლარი, დაფინანსდა 235 588 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (10 291 609,9 ლარით 638 448 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (7 553 296 ლარით 117 264 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (94 867 876 ლარით 60 922 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (25 542 519 ლარით 26 551 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (6 773 621 ლარით 11 442 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (5 756 221 ლარით 12 603 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით გორში დაფინანსდა 13 202 ბენეფიციარი (621 333 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა **5 ახალი ვაქცინა.** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი **მუნიციპალიტეტში** 88%-ია. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით**

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **გორში,** სტაციონარული მკურნალობით 461-მა (1 611 469 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 5 937-მა პაციენტმა (608 042 ლარი) ისარგებლა.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **გორში**, ანტენატალური სერვისი მიიღო 18 192-მა ორსულმა (1 036 425 ლ), საჭირო მედიკამენტები – 5 542-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **გორის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 3 026 პირი (557 859 ლ). 2012 წლის შემდეგ, გორის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურების **დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში** (ფსიქიკური ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რეფერალური მომსახურების პროგრამები).

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. გორის **მუნიციპალიტეტს 116 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება**. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 339,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 194,9 ათასი ლარი იყო.

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, გორის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ქ. გორში,სსიპ საგანგებო სიტუაციები სკოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა (430 939 ლ), სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობა (1 626 999 ლ) და კლინიკის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების, კოლექტორის და წყალმომარაგების ახალი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (829 553 ლ). ამბულატორიების მოწყობა სოფლებში: მეღვრეკისი, ერგნეთი, ფლავი, ქვ. არცევი, აძვი, ჯარიაშენი, კირბალი, ქვემოხვითი, ქერე, ქორდი, წითელუბანი (71300 ლ). ამბულატორიების რეაბილიტაცია/რემონტი სოფლებში: ყელქცეული (10 500 ლ), ბნავისი (21374 ლ). ბერბუკი (14 868 ლ), ფხვენისი, (5 232 ლ), საქაშეთი (8 294 ლარი). ახალდაბა (12 250 ლ). ძევერა (8 678 ლ), ქვახვრელი, (15 464 ლ), ვარიანი (21 772 ლ), ატენი (22 170 ლ), ხელთუბანი (22 046 ლ), ხიდისთავი (15 464 ლ), საყვარე (9 920 ლ). ტინისხიდი – აშენდა ახალი ამბულატორია (79250 ლ). **დაგეგმილია ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში:** დიცი, ზერტი, მერეთი, ქვეში, ერგნეთი, ზეღდულეთი, სკრა, მეჯვრისხევი, ტირძნის, ბნავისი, წითელუბანი, მეღვრეკისი, ბერშუეთი, ნადარბაზევი, ატენი. **დევნილთა განსახლება:** ქ. გორი, მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, 4 შეწყვილებული, 8 კორპუსის მშენებლობა, 480 ბინა – 21 980 900 ლ; ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი, ბინების სრული რეაბილიტაცია – 29 ბინა, – 566 609 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **გორის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 მდგომ.) 23683 პირია. 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,4-ჯერ – 26 498 581-დან 63 890 469 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ 393 242 231 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. გორში**,** კომპენსაციის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 612 პირი. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,4-ჯერ – 766 979 ლარიდან 3 427 710 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 24 094 148 ლარი შეადგინა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები** უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **გორის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 5909 ოჯახი (01.04.2021 მდგომარ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 1,6-ჯერ – 8 462 ათასიდან 13 539 ათას ლარამდე გაიზარდა 2013-2021 წლებში საარსებო შემწეობაზე სულ დახარჯულია 112 543 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 26 676 ათასი, შშმ პირებზე – 9 188 ათასი, ბავშვებზე – 36 792 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – გორში სოციალური პაკეტით სარგებლობს 6974 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 1 806 869 ლარიდან 9 829 613 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021, წლებში სულ დაიხარჯა 65 736 175 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტში 10 697 დევნილია (01.04.2021w. მდგომ). 2012 წლის შემდეგ 2 532 768 ლარიდან 5 814 585 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ გაცემულია 43 210 287 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 1249 ოჯახი, მათ შორის: 56 დევნილ ოჯახს გადაეცა **ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში**, პროექტით **„სოფლად სახლი“** სახელმწიფომ სახლი 189 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში **არსებული ფართი** 1 471 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტში – 68.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (**მესამე და მომდევნო ბავშვი) **გორში** დაფინანსებულია 454 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 321 950 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 433 200 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან გორის მუნიციპალიტეტზე – 7 551 737 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში 2020 წელს, გორში, ჩართული იყო 3 274 ოჯახი, 2021 წელს – 3 611. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, გორის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 842-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 910-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), გორში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 1 346 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 1 359.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით **21-ჯერ გაიზარდა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება**. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 985,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის – კი 92,3 ათასი ლარი იყო.

გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას, მათ შორის რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით, მარტოხელა მშობლის დახმარება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა, სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება, მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული(ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6 H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება, გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. გორის მინიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 63 დაწესებულება, 19 – ქალაქად, 44 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. გაიზარდა გორში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდამ **9 მლნ 570, 3 ათასი ლარი შეადგინა.** 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 2 მლნ 105,8 ათასი ლარით განისაზღვრა.

2013-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ქ. გორსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 61 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 3 მლნ 553,7 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017 წელს დაიწყო მშენებლობა და 2021 წელს გაიხსნა, 90 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში (533,3 ათასი ლარი, რეგ. ფონდიდან). **2019-2020 წლებში -** განხორციელდა სოფ. ნიქოზის (167,9 ათასი ლარი), ქვახვრელის (43,1 ათასი ლარი), ტყვიავისა (189,9 ათასი ლარი) და პატარა გარეჯვრის (187,5 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. იმავე წელს, ქ. გორში საბავშვო ბაღების ნაწილობრივ რეაბილიტაციაზე 66,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს:** სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 9 საბავშვო ბაღს, გაფართოვდა 2. დასრულდა ქვახვრელის საბავშვო ბაღში გათბობის სისტემის მოწყობა.

2021 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შენდება ახალი საბავშვო ბაღები: ქ. გორში, ანწუხელიძის ქუჩაზე, მოსკოვის ქუჩის მიმდებარედ, კომბინატის დასახლებაში, სოფ. საქაშეთში, მეჯვრისხევსა და ერგნეთში; ასევე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. გორისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლების 9 საბავშვო ბაღებში; დაგეგმილია სოფელ ტირძნისში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 401-დან 6050-მდე გაიზარდა. საბავშვო ბაღებში **კვების** ხარჯი თითოეულ აღსაზრდელზე, ყოველდღიურად 2,7 ლარს შეადგინს. საბავშვო ბაღებში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების მიწოდება სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის – ემსახურებათ ინდივიდუალური ასისტენტები. ახალი სასწავლო წლისთვის, საბავშვო ბაღებში დასაქმდება 5 სპეციალური მასწავლებელი. ყველა საბავშვო ბაღს თითო ექთანი ემსახურება (სულ 63). იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები, სააგენტო უზრუნველყოფს აღასაზრდელთა ტრანსპორტირებას უახლოეს მეზობელ სოფლებში აღნიშნული სერვისის მისაღებად. ჯამში, ტრანსპორტირება ხორციელდება 28 საბავშვო ბაღში, 45 მიმართულებით და ემსახურება 500-მდე აღსაზრდელს.

სასკოლო მზაობის პროგრამა 2021 წლისთვის ხორციელდება 61 სააღმზრდელო ჯგუფში, სადაც სულ 2060 ბავშვია. ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების ალტერნატიული მოდელიც – სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ქ. გორში, №1 საჯარო სკოლების ბაზაზე და სოფელ ბოშურშია გახსნილი. **პანდემიიდან გამომდინარე,** მუნიციპალურ ბაღებში სრულად დაცულია კოვიდ-რეგულაციები; შეიქმნა **დისტანციური სწავლების პლატფორმა** და უზრუნველყოფილი იყო სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობა.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 67 საჯარო სკოლა (ქალაქში – 12, სოფლად – 55), სადაც 18 118 მოსწავლე, 1772 მასწავლებელი და 63 – სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 223 სსსმ მოსწავლე. საჯაროს სკოლებს 10 ექიმი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება, 30 საჯარო სკოლას კი 74 მანდატური.

ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გორის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2013-2021 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 140 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე განხორციელდა, 2017-2019 წლებში 145 პროექტი დაფინანსდა. **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში, 2019 წელს, 13 საჯარო სკოლას გადაეცა 166 კომპიუტერი. **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** სკოლების აღჭურვის 119 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 22 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 18 სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 161 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 40 საჯარო სკოლის (71 მიმართულება) 2067 მოსწავლე სარგებლობს. **2017-2020 წლებში,** სკოლებს, ჯამში, 3326 **სასკოლო ჟურნალი** და 411194 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. **2013-2019 წლებში,** პირველკლასელებს საჩუქრად 10888 კომპიუტერი გადაეცათ, 565 – კლასის დამრიგებლებს, 1066 – წარჩინებულ მოსწავლეებს**.** გორის საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 847 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა.

სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, გორის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 97 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 47 სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია - 49. MCC– ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 12 სკოლაა ჩართული.

2019 წელს ქ. გორსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 28 პროექტი განხორციელდა (ჯამში, **1 მლნ 611,4 ათასი ლარი). 2020 წელს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** განხორციელდა სველი წერტილების მიშენება-მოწყობის, შშმ პირებისთვის ადაპტირებისა და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. გორისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 32 საჯარო სკოლაში (1,2 მლნ ლარი);

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, დასრულდა 2 ახალი სკოლის **მშენებლობა:** სოფელ პატარა მეჯვრისხევში – 2 მლნ 395,9 ათასი ლარი და ოთარშენში (60 ბავშვზე გათვლილი) საჯარო სკოლა (შერწყმული თედოწმინდის დაწყებითი სკოლა) – 1 მლნ 81,4 ათასი ლარი. **2021 წელს მიმდინარეობს:** სოფელ ქერეში საჯარო სკოლის მშენებლობა-პროექტირება – 1 მლნ 745 ათასი ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდი); სოფელ ბნავისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1,6 მლნ ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდი); სკოლების სახელმწიფო პროგრამით მიმდინარეობს სოფლების – მერეთის (104,699 ლარი), ყელქცეულის (40,869 ლარი), კარბის, სათემოსა და მეღვრეკისის საჯარო სკოლებში გათბობის სისტემის მოწყობა (ჯამურად 115, 8 ათასი ლარი).

პროფესიული განათლება

გორის მუნიციპალიტეტში მდებარეობს პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი **ორი საჯარო კოლეჯი – ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“ და ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი.** ასევე, პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს **სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.**

კოლეჯი „განთიადი“ 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს. დანერგილია 8 მოდულური და 4 დუალური პროგრამა. მათ შორის, 1 მოდულური პროგრამა შეთავაზებულია ინტეგრირებული მიდგომით. ამ ტიპის პროგრამა გათვლილია საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირებზე და დასრულების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.

ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს მოპოვებული აქვს 2 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება: მუსიკის რეპეტიტორი, პიანისტ-აკომპანიატორი. 2013-2020 წლებში კოლეჯში, ჯამში, 71 სტუდენტი ჩაირიცხა. 2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 458,5 ათასი ლარი შეადგინა.

გორის მუნიციპალიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე ახორციელებს **სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.** დაწესებულებას 12 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვს.

2021 წლის მდგომარეობით, **გორის მუნიციპალიტეტში**, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 1 პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს. საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 2017-2019 წლებში, სკოლებში, 45 პროექტი განხორციელდა.

უმაღლესი განათლება

ქ. გორში ფუნქციონირებს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2020 წლის მდგომარეობით, უნივერსიტეტში 38 საგანმანათლებლო პროგრამაა განხორციელებული. 2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 2 მლნ 318 ათასი ლარი შეადგინა.

2013-2020 წლებში უნივერსიტეტში, ჯამში, 2113 სტუდენტი ჩაირიცხა. 2015-2020 წლებში, უნივერსიტეტი დაასრულა **478-მა სტუდენტმა**. უნივერისტეტში **88 აკადემიური** და ადმინისტრაციული პერსონალია დასაქმებული.

2013-2019 წლებში, **უნივერსიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში** 433 სტუდენტი დაფინანსდა, 2020-2021 სასწავლო წელს – 32 სტუდენტი. 2013-2019 წლებში, სწავლა გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებ 2129 სტუდენტს დაუფინანსდა, ხოლო 2020-2021 სასწავლო წელს – 473-ს. აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამებზე უნივერსიტეტში 640 მაგისტრანტი ჩაირიცხა. 2015-2017 წლებში უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში განხორციელდა სტუდენტათა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია (269,1 ათასი ლარი).

გორში ასევე ფუნქციონირებს **დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,** რომელშიც 2020 წლის მდგომარეობით, 5 საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდა. მათ შორის, 4 – საბაკალავრო, 1 კი სამაგისტრო. აკადემიის აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამებზე, 2017-2019 წლებში, 28 მაგისტრანტი ჩაირიცხა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების პროგრამით დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დაფინანსდა 3 სტუდენტი.

გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტიდან 2020-2021 სასწავლო წელს დაფინანსდა 1536 სტუდენტი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2020-2022 წლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 17 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 6 მლნ 434 ათასი ლარი დაიხარჯება. ახალი საბავშვო ბაღები აშენდება: ქ. გორში, ანწუხელიძის ქუჩაზე, სოფელ მეჯვრისხევში – 180 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი – 2 მლნ 800 ათასი ლარი; ქ. გორში – 180 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი – 2 მლნ 800 ათასი ლარი; სოფელ ერგნეთში – 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი – 1 მლნ 100 ათასი ლარი; სოფელ საქაშეთში – 50 აღსაზრდელზე გავლილი საბავშვო ბაღი – 725 862 ლარი; სოფელ ზერტში – 100 აღსაზრდელზე გავლილი საბავშვო ბაღი – 1 მლნ 500 ლარი;
- დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობები: სოფელ მეჯვრისხევში (6 სააღმზრდელო ჯგუფზე), ერგნეთი-მეღვრეკისში (3 სააღმზრდელო ჯგუფზე), გორში – კომბინატის დასახლებაში (6 სააღმზრდელო ჯგუფზე), სოფელ საქაშეთში (2 სააღმზრდელო ჯგუფზე), სოფელ ზერტში (4 სააღმზრდელო ჯგუფზე).
- განხორციელდება სოფელ ტყვიავის, ქიწნისის, ტირძნისის, ზეღდულეთის, ახრისის და ატენის საბავშვო ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (32 ათასი ლარი). ასევე, კარალეთის №1 საბავშვო ბაღისა (161, 9 ათასი ლარი) და პატ. გარეჯვრის საბავშვო ბაღის (124, 7 ათასი ლარი) რეაბილიტაცია, სოფელ შერთულისა და შინდისის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (310 ათასი ლარი); დამატებით იგეგმება 5 საბავშვო ბაღის გარემონტებაც (სკრა, კარალეთის №1 ბაღი, პატარა გარეჯვარი, №9 და №14 საბავშო ბაღები); სოფელ ხელთუბანში, 150 აღსაზრდელზე გათვლილი, საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 856, 8 ათასი ლარი;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება გორში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:** MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩაერთვება მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლა: გორის №9, №5 და №2 საჯარო სკოლები, სოფელ ხელთუბნის, შინდისის, ზერტის, საქაშეთის, ფხვენისის, ტყვიავის, ხიდისთავის, ტინისხიდისა და სკრის საჯარო სკოლები;
- დაგეგმილია და გამოცხადებულია ტენდერი სოფელ ქერის საჯარო სკოლის მშენებლობისთვის (1,9 მილიონი ლარი);
- დაგეგმილია საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 6 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 700 ათასი ლარი დაიხარჯება. მათ შორის: გორის №4 საჯარო სკოლა; სოფელ ატენის საჯარო სკოლა; №6 საჯარო სკოლა; სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა; სოფელ წითელუბნის საჯარო სკოლა; რეხის საჯარო სკოლა; 2022 წელს სრული რეაბილიტაცის ჩაუტარდება სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლას;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- 2022 წლისთვის, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, დაგეგმილია კოლეჯის მშენებლობა ახალ ლოკაციაზე;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

გორში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული **ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო, რომელიც** შედგება განყოფილებებისაგან, განყოფილებები კი თავის მხრივ იყოფა სექტორებად: **ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება (სექტორები:** ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორი“, ტყვიავის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ძევრის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ქიწნისის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, შავშვების ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, მეჯვრისხევის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ხიდისთავის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი**,** ახალხიზის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი). **ტურიზმის განყოფილება-სექტორი:** ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; **მუზეუმების განყოფილება** (სექტორები: სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი**,** საბრძოლო დიდების მუზეუმი**,** ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი**,** ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი); **ბიბლიოთეკის განყოფილება (სექტორები:** ცენტრალური ბიბლიოთეკა,ბავშვთა ბიბლიოთეკა, მოზრდილთა ბიბლიოთეკა); **სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების განყოფილება** (სექტორები: ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლა**,** ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა, კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის სახელობის სოფ. ხიდისთავის სამუსიკო სკოლა, სოფელ ატენის სამუსიკო სკოლა, სოფელ ტყვიავის სამუსიკო სკოლა, სოფელ ტირძნისის სამუსიკო სკოლა, სოფელ სკრის სამუსიკო სკოლა, სოფელ სკრის სამუსიკო სკოლა, სოფელ ხელთუბნის სამუსიკო სკოლა). ასევე, სააგენტოს დაქვემდებარებაშია **„მწერალთა სახლი“.** მუნიციპალიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული კულტურის დაწესებულებები: სსიპ ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი, სსიპ გორის ჯ. ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება – 2020 წლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 2,622.7 ლარი შეადგინა.

2013-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში: ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, კონკურსები, კონცერტები, 9 სოფელში ფუნქციონირებს სასოფლო კლუბები, რომელთაც 2019 წელს დაემატა 22 სახელოვნებო და საგანმანათლებლო წრე. კულტურის ცენტრი გამოსცემდა ჟურნალს, რომელიც საჯარო სკოლებში ბავშვებს უფასოდ ურიგდებათ (2020 წლიდან ჟურნალს „მწიგნობარი“ გამოსცემს „მწერალთა სახლი“). ცენტრში ფუნქციონირებს ლიტერატურული თეატრი. ანსამბლი „მაჩაბელა“ ემსახურება გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში ღონისძიებების ორგანიზებასა და მოწყობას, მოსწავლეთათვის ფოლკლორის სფეროში ინფომაციის მიწოდებას.

2017 წელს, რეგიონებში კულტურის მხარდაჭერის მიზნით, 1 მლნ 517 ათასი ლარი დაიხარჯა, განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი, მათ შორის, სოფელ ნიქოზში, გამყოფი ხაზის მიმდებარედ, გაიმართა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“. **2018 წელს,** რეგიონებში, ამ მიმართულებით 57 აქტივობა განხორციელდა და 1 მლნ 520 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს** ჩატარდა გორის კომედიის ფესტივალი, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“; პროექტში „ცოცხალი წიგნები“ ჩართული იყო 80-მდე მწერალი; ხელი შეეწყო სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრს; მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში კოვიდპანდემიის გამო დაგეგმილი აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიდო, თუმცა გარკვეული მათგანი მაინც განხორციელდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქ. გორსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში – ბერბუკი, ვერხვები, შავშვები, კარალეთი, სკრა – ხორციელდება პროექტები, რომელიც დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებასა და სხვადასხვა აქტივობას ითვალისწინებს.

2016-2021 წლებში, ქ. გორსა და სოფლებში – დიცი, მერეთი, ხურვალეთი, ნიქოზი, მეჯვრისხევი, მეღვრეკისი, ერგნეთი – ხორციელდება პროექტი **„კულტურა საზღვრებს გარეშე“,** რომლის მიზანია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, იმართება შეხვედრები ქართველ ხელოვანებთან და მეცნიერებთან, ტარდება სხვადასხვა ტიპის ლექცია-სემინარები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება/განხილვა, მოეწყო ღია ტიპის სამკითხველო – „სკვერის ბიბლიოთეკები“ და სხვ.

2013-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: 2019 წელს დასრულდა ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ არბოში – (256,9 ათასი ლარი, რეგიონული ფონდი); განხორციელდა ქ. გორში, 26 მაისის სკვერისა და ლომჭაბუკის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (580 ათასი ლარი); **2020 წელს** განხორციელდა არბოს მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასასრულს უახლოვდება მუზეუმის არქეოლოგიურ საცავში მიმდინარე სამუშაოები. 2020 წლის მარტში, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიწყო პროექტი – „გორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვა. **2021 წელს გრძელდება** სარეაბილიტაციო სამუშაოები გორის ციხეზე, წლის ბოლომდე დაგეგმილია 450 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება. **მიმდინარეობს** ნიქოზის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია (30 ათასი ლარი).

გორის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა: 2018 წელი – უფლისციხის კოტეჯების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი; გორის ციხის რეაბილიტაციის პროექტი I ეტაპი; ატენის სიონის დასავლეთი აფსიდის კედლის მხატვრობის საპროექტო კვლევა და დოკუმენტაციის მომზადება, ქვის კონსერვაციის სამუშაოები; **2019 წელს** დასრულდა უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის II ეტაპი (100492,42 ლარი); განხორციელდა უფლისციხის კოტეჯების რეაბილიტაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი III ეტაპი (157656,14 ლარი); **2020 წელი** – ბერშუეთის სამების ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; ატენის სიონის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის გადახურვის რეაბილიტაციის სამუშაოები; გუდაბერტყის ნამოსახლარის არქეოლოგია.

გორის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტი – **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“**. გორის მუნიციპალიტეტში მდებარეობს **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს** დაქვემდებარებაში არსებული **უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი,** რომელსაც 2017-2021 წლებში **1 მილიონამდე** ვიზიტორი სტუმრობდა. 2015 წელს გორში კეთილმოწყობილი შენობა გადაეცა **დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის** ადმინისტრაციას. მუზეუმ-ნაკრძალი კი **ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა** მოქცეული.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების მიუხედავად, ჯანდაცვის საყოველთაო რეკომენდაციების გათვალისწინებით, მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს. გრძელდება მსხვილმასშტაბიანი პროექტები, მათ შორის, გრაკლიანი გორის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცის მოწყობა და ტექნიკური აღჭურვის I-ეტაპი (297 ათასი ლარი) და არქეოლოგიური მუზეუმის საგამოფენო სივრცის მოწყობის II ეტაპი (300 ათასი ლარი); ატენის სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის გადახურვის რეაბილიტაციის სამუშაოები (200 ათასი ლარი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა, გ. პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა და ა. შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზებული სკოლა, ნ. სხირელის სახ. თ/ჭიდაობის სკოლა, გ. კანდელაკის სახ. კრივის სკოლა– სოფ. ვარიანში, გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი“, კლუბი „გოლდენ გორი“.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 3,428.5 **ათასი** ლარით განისაზღვრა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს (342 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, რაგბი, ფეხბურთი, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, შაში და კარატე. **აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები:** გორის სახელოვანმა სპორტსმენებმა სხვადასხვა სახის არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში ასობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და პრიზები დაიმსახურეს. თავისუფალი სტილის მოჭიდავე გენო პეტრიაშვილი ზედიზედ სამჯერ (2017, 2018, 2019 წწ) გახდა მსოფლიოს ჩემპიონი პრესტიჟულ, მძიმე წონით კატეგორიაში.

2020 წელს, მსოფლიო პანდემიის გამო გარკვეულწილად შეფერხდა სპორტული აქტივობა. **2021 წელს** თავისუფალ ჭიდაობაში უნიკალურ შედეგს მიაღწია გორელ მოჭიდავეთა გუნდმა. დიდებში, 23 წლამდელებში, ახალგაზრდებში, კადეტებსა და კადეტთა უმცროს ასაკში 2021 წელს გამართულ საქართველოს ჩემპიონატებზე, ხუთივე ასაკში ჩატარებული ჩემპიონატიდან ოთხში გუნდური გამარჯვება გორის გუნდმა მოიპოვა. **წელს ტოკიოში გამართულ ოლიმპიადაზე (ტოკიო 2020) პირველი მედლები ჩვენს ოლიმპიურ დელეგაციას, სწორედ გორელმა ძიუდოისტებმა ვაჟა მარგველაშვილმა და ლაშა შავდათუაშვილმა მოუტანეს. ორივე მათგანი ვერცხლის პრიზიორი გახდა.** ორივე სპორტსმენი გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის აღზრდილია, მათი პირადი მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ანზორ თენაძე გახლავთ.

2017 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლებში მკვეთრად გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა. ამჟამად სასპორტო სკოლებში გორსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში, 3 ათასზე მეტი სპორტსმენი ვარჯიშობს.

2018 წელს შეიქმნა ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორი“, რომელიც გორელი ტიტულოვანი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. კლუბმა პირველივე წელიწადს ისტორიულ წარმატებას მიაღწია – მონაწილეობა მიიღო ევროპის საკლუბო ლიგაზე, სადაც ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს, ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე მესამე ადგილზე გავიდა. ამ პრესტიჟულ ლიგაში მხოლოდ „გოლდენ გორი“ წარმოადგენდა საქართველოს, სულ კი მთელი მსოფლიოს მხოლოდ რვა (!) კლუბმა მოიპოვა ასპარეზობის უფლება. 2018 წლიდან მუნიციპალიტეტში ხორციელდება **მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;**

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:

2019 წელს სპორტული მინიმოედები მოეწყო სოფლებში გუგტიაანთკარი (67,7 ათასი ლარი); ხიდისთავი (90,7 ათასი ლარი). კალათბურთის მოედანი მოეწყო გორში, ვერხვების დევნილთა დასახლებაში (69 ათასი ლარი); მინისტადიონი და საჭიდაო არენა ზეღდულეთში (93,2 ათასი ლარი). ქ. გორში მოეწყო გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები). **რეაბილიტაცია ჩაუტარდა** გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის (მშვიდობის გამზირი №12) დარბაზს – 114, 5 ათასი ლარი; **2020 წელს დასრულდა** სოფ. ვარიანში, გ. კანდელაკის სახელობის კრივის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (63 ათასი ლარი). გორის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (41,5 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა კრივის დარბაზებს ქ. გორში (სტალინის გამზირი №11a, 39,1 ათასი ლარი) და სოფელ ხურვალეთში (გათბობა და ელმონტაჟი, 10,6 ათასი ლარი); კალათბურთის მოედანი და საბავშვო სკვერი მოეწყო მეჯვრისხევში (56 ათასი ლარი); განხორციელდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია/მოწყობა სოფლებში ხელთუბანი (50 ათასი ლარი), თორტიზა (93 ათასი ლარი); სკრა (50 ათასი ლარი), ქიწნისში (89 ათასი ლარი), ტყვიავი (50 ათასი ლ); ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნებისა და სპორტული კომპლექსი მოეწყო სოფელ ატენში (100 ათასი ლარი); სკვერი და ღია ტრენაჟორები – სოფელ ფლავში (40 ათასი ლარი); გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორების) მოეწყო ქ. გორში, ვერხვების დევნილთა დასახლებაში (50 ათასი ლარი); განხორციელდა ა. შოშიაშვილის სახელობის კრივის სკოლის გასახდელებისა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები; **2021 წელს დასრულდა** გორის სპორტსკოლის რეაბილიტაცია – 142,9 ათასი ლარი; გორის სპორტის სასახლის დარბაზებში მოეწყო იატაკი (824,9 ათასი ლარი); ექსპლუატაციაში შესვლის პროცესშია მრავალფუნქციური სპორტის სასახლე (12,4 მლნ ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტი).

მიმდინარეობს მუშაობა სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოს დაქვემდებარებაში არსებული სპორტული დარბაზების სპორტული ინვენტარით აღსაჭურვად. ასევე სავარჯიშო ტრენაჟორების სამონტაჟო სამუშაოები მისამართებზე: **გორი,** სამების ქ №1, სადგურის დასახლება: თამარ მეფის 4– 6 კორპუსთან. **სოფლებში:** ხურვალეთი, ნადარბაზევი, შავშვები, წითელუბანი, მეჯვრისხევი, ზერტი, მარანა, კვარხეთი და მეჯვრისხევის ფაბრიკის დასახლება; შოთა ჩოჩიშვილის სახ. ცენტრალური სასპორტო სკოლის 4 დარბაზის, სველი წერტილების და მწვრთნელების ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მინისტადიონის რეაბილიტაცია სოფელ ზემო ხვითში – 126 ათასი ლარი; მინისტადიონის მოწყობა სოფელ ბობნევში – 100 ათასი ლარი;

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, სამინისტრომ შეისყიდა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი და წიგნები, რომლებიც საჩუქრად გადაეცა ადგილობრივ გამგეობებს (გორი, სოფ: მერეთი, ნიქოზი, ხვითი, ტირძნისი, მეჯვრისხევი, წითელუბანი და ხურვალეთი); განახორციელა „საინფორმაციო კამპანიები ნარკომანიისა და თამბაქოს წინაღმდეგ“; „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ონლაინ კამპანია – არა სიძულვილს“, „სასიცოცხლო უნარების“ ხუთთვიანი ტრენინგ-სემინარები;

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები, რომელთა მიზანია ახალგაზრდული ცენტრის სალექციო დარბაზის აღჭურვა საჭირო ინვენტარით, ახალგაზრდების ინფორმირება გარემოს დაცვის, ეკოლოგიის და ეკოტურიზმის საკითხებზე; მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; სოციალური საწარმოს შენობის მოწყობა – რემონტი, უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების ფიზიკური აქტიურობის გაზრდა, რეაბილიტაცია და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში; ახალგაზრდული სოციალური საწარმო „სობისურისთვის“ ახალი დანადგარების შეძენა და დამხმარე სასაწყობე ნაგებობების მოწყობა, სოციალური საწარმო „ჩემი ფუტკრის“ შექმნა; ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარება; „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია სკოლებსა და ბიბლიოთეკებში.

2017 წელს განხორციელდა პროექტი „ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი“ (18,5 ათასი ლარი). სოფელ ზემო ნიქოზში კეთილმოეწყო ხელოვნური საცოცი კედლის სავარჯიშო გარემო. სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა პროექტი „**CYNC კვირეული გორი**“ (55,5 ათასი ლარი).

2015-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების მიზნით დაფინანსდა 40 პროექტი. სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობის მიზნით დაფინანსდა 40 პროექტი.

2021 წელს, სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, განახლდა გორის ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; გორის ერთ-ერთ სოფელში გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით გორის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებები მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- დაგეგმილია გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები – 450 ათასი ლარი;
- სოფელ შავშვების სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია – 100 ათასი ლარი;
- 2021 წელს დასრულდება ატენის სიონის ქვის კონსერვაციის სამუშაოები (დასავლეთი ფასადის და დასავლეთი აფსიდის კონქის, ინტერიერში ჩრდილოეთ აფსიდის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები) – 456 ათასი ლარი;
- დაგეგმილია შემდეგი პროექტები: ატენის სიონის დასავლეთ და სამხრეთი კალთების გადახურვა; უფლისციხის კომპლექსის კვლევა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; 2023 წელი – გორის ციხის რეაბილიტაცია; უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის კომპლექსური კვლევა – მონიტორინგი გადაუდებელი აუცილებლობის სამუშაოები; ატენის ციხის რეაბილიტაცია; უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია– სავარაუდო **ღირებულება 1 მილიონი** ლარი; გორის ციხის მიმდებარე შენობის რეაბილიტაცია – 40,5 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ქ. გორში, გურამიშვილის ქ. №5-ში მდებარე კულტურისა და დასვენების პარკის (ახალბაღი) რეაბილიტაცია – 78,6 ათასი ლარი (მგფ);
- 2022-2025 წლებში განხორციელდება გორის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტირება/რეაბილიტაცია) **– 7 მლნ ლარი.**
- ანტონ ფურცელაძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია – 800 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სასპორტო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია; დაგეგმილია სპორტული კომპლექსის მშენებლობა სოფელ ერგნეთში – 500 ათასი ლარი; სოფელ ხიდისთავში არსებული სპორტული მოედნის შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის სპორტული ინვენტარით აღჭურვა – 55,5 ათასი ლარი; ქ. გორში, ელექტრიფიკაციის დასახლებაში კალათბურთის მოედნის მოწყობა – 81,6 ათასი ლარი;
- 2021– 2025 წწ. – გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- დაგეგმილია თემებში ახალგაზრდული ცენტრების ჩამოყალიბება, ახალგაზრდების გააქტიურების მიზნით;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება მათი ხელშეწყობის გზით, შემდგომში აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდის მიზნით.
- 2021 წელს შეიქმნება და დაინერგება გორის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები;
- გორში ჩატარდება შიდა ქართლის რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი;
- 2021 წლის სექტემბრიდან 2 წლის ვადით დასაქმდება 2 მობილური ახალგაზრდული მუშაკი.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

სადაც უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის სიამაყით ვამბობდი, რომ გორელი ვარ! განსაკუთრებით ვაფასებდი იმას, რაც ამ ქალაქმა მომცა და ვცდილობდი, აქ მცხოვრები, საკუთარ ქალაქსა და ქვეყანაზე შეყვარებული, ბევრი გაჭირვებისა თუ სირთულის მნახველი ხალხი გამეხარებინა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გორის მერობის კანდიდატად დასახელება განსაკუთრებული ნდობის გამოხატულებაა, რისთვისაც მადლობას ვუხდი „ქართულ ოცნებას“ – ერთადერთ პასუხისმგებლიან, განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალას.

მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი ვალდებულია, დაიხარჯოს ქვეყნისა და საერთო საქმისთვის, სწორედ ამიტომ, მინდა, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად მოვახმარო მშობლიური ქალაქის სწრაფ განვითარებას.

კარგად ვხედავ, რომ განვლილი წლების განმავლობაში გორში ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ყოველდღიური შეხება მაქვს გორელებთან და ზუსტად ვიცი, როგორ გადავდგათ ის გარდამტეხი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ქალაქს განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ თქვენს უდიდეს სიყვარულსა და მხარდაჭერას, რის გამოც თავს ვალდებულად მივიჩნევ, მაქსიმალურად გულწრფელი ვიყო და იმედი არ გაგიცრუოთ.

ბუნებრივია, იქნება სირთულეებიც, თუმცა, ჩემი სპორტული კარიერა სწორედ იმით იყო გამორჩეული, რომ სირთულეებში შესაძლებლობას ვხედავდი და მათ დასაძლევად ბოლომდე ვიხარჯებოდი. ასე ვაპირებ პოლიტიკაშიც და მჯერა, ახალგაზრდა, პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდთან ერთად, გამოცდილი ადამიანების რჩევების გათვალისწინებითა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით, წარმატების ახალ, გამორჩეულ ისტორიას დავწერთ.

მჯერა, ჩემს გამარჯვებას ჩვენი საყვარელი გორის გამარჯვებად ვაქცევთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.